# ბ ო რ ჯ ო მ ი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

5 ივნისი
ხუთშაბათი
2025 წელი
№23(9389)
ფასი 40 თეთრი


## „ქართული ოცნების" თავმჯდომარის, პრემიერ ირაკლი კობახიძის სიტყვა კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების კონფერენციაზე

ბატონო პრემიერ-მინისტრო, უნგრეთის კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების კონფერენციის თავმჯდომარეო, კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების პრეზიდენტო, ქალბატონებო და ბატონებო,

დიდი პატივია, ვიდგე დღეს თქვენს წინაშე უნგრეთში - ქვეყანაში, რომელმაც მტკიცედ დაიცვა თავისი სუვერენიტეტი და იდენტობა. ყველა უნდა ადიდებდეს უნგრეთის გამორჩეულ პრემიერ-მინისტრს, ბატონ ვიქტორ ორბანს, მამაცობისა და უკომპრომისო ბრძოლისათვის, რომელიც უნგრეთის თავისუფლებისა და ეროვნული ინტერესების დაცვისკენ არის მიმართული.

ჩვენ - ქართველები - განსაკუთრებით ვაფასებთ მას იმ ფასდაუდებელი მხარდაჭერისთვის, რომელსაც საქართველოსა და ჩვენი ერის ევროპული გზის მიმართ გამოხატავს. დიდი მადლობა ამისთვის, ბატონო ვიქტორ! თქვენთან მოვიტანე საქართველოს ხმა - ხმა იმ ქვეყნისა, რომელიც 3000 წელზე მეტია იმპერიების გზაჯვარედინზე დგას; ქვეყნისა, რომელიც ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული ერი გახდა მსოფლიოში; საქართველოს ხალხმა მრავალ ომსა და საუკუნეების განმავლობაში არსებულ ოკუპაციას გაუძლო. და მაინც, დავრჩით გაუტეხელნი, ქართველებად დავრჩით! გვეამაყება ჩვენი ქრისტიანობა და ყველაფერს ვაკეთებთ მის დასაცავად; რადგან ვიცით, რომ როდესაც ერი კარგავს თავის ეროვნულ იდენტობას და რწმენას - ის კარგავს საკუთარ თავს.

დღეს დასავლეთი დგას გზაჯვარედინზე. არა მხოლოდ პოლიტიკური დასავლეთი, არამედ ცივილიზაციური დასავლეთიც - დასავლეთი, რომელიც ეფუძნება ქრისტიანულ და დემოკრატიულ ღირებულებებს. ჩვენ, აქ, იმისათვის შევიკრიბეთ, რომ დავიცვათ ჩვენი იდენტობა და ღვთისგან მონიჭებული უფლება - ვიყოთ ის, ვინც ვართ. ჩვენ არ ვკამათობთ დასავლეთთან, რადგან თავად ვართ დასავლეთის ნაწილი - ჭეშმარიტი დასავლეთის.

თავისუფლების, რწმენისა და ოჯახური ღირებულებების დასავლეთის; და არა იმ **Deep State**-ის, რომელიც ცდილობს, მსოფლიო არაფრად აქციოს და თავი ყველაფრის მმართველად ჩათვალოს.

ჭეშმარიტი, ღირებულებებზე დაფუძნებული დასავლეთი - ჩვენი დასავლეთი - ჯერ კიდევ ცოცხალია. ის ცოცხალია ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა უნგრეთი.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

## 1 ივნისს, ბორჯომსა და ბაკურიანში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე საზეიმოდ აღინიშნა

**1 ივნისს, მერაბ კოსტავას სახელობის სკვერში ბორჯომის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით, პატარებისთვის მრავალფეროვანი ღონისძიებები გაიმართა.**

პატარა სტუმრების წინაშე ადგილობრივი მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლები, ასევე სოლო შემსრულებლები წარსდგნენ.

პარკის ტერიტორიაზე ბავშვებისთვის მოწყობილი იყო გასართობი ზონები, ვორქშოპები, სადღესასწაულო ატმოსფერო, ასევე პატარებს შესაძლებლობა ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ სპორტულ აქტივობებში. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერმა **ოთარ არბოლოშვილმა** ბავშვებს მიულოცა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, პატარებს წარმატებული და ბედნიერი მომავალი უსურვა.

ეს დღე არა მხოლოდ პატარებისთვის, არამედ ყველასთვის იქცა ნათელ, ემოციურ და ღიმილით სავსე დღესასწაულად, სადაც მთავარი გმირები სწორედ ბავშვები იყვნენ.

განსაკუთრებული მადლობა მონაწილეებს, რომლებმაც შემოქმედებითი ნომრებითა და ბავშვთა აქტიური ჩართულობით ღონისძიებას დაუვიწყარი ელფერი შესძინეს:

- სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურინის საჯარო სკოლას;
- ბაკურიანის მუსიკალური სკოლის, ვოკალურ ანსამბლ „ლიგა"-ს;
- ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი"-ს ბაკურიანის საბავშვო ბაღს;
- სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ანდეზიტის საჯარო სკოლას;
- სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ციხისჯვრის საჯარო სკოლას;

ბაკურიანის ტანვარჯიშის ჯგუფს

ასევე მადლობას ვუხდით ღონისძიების მხარდამჭერებს, პედაგოგებს, მოხალისეებსა და დამსწრეს.

**საზოგადოებას - თითოეულ ადამიანს, ვინც საკუთარი რესურსით, ენერგიითა და ნდობით ხელი შეუწყო ამ დღის ღირსეულად ჩატარებას. თქვენს მხარდაჭერას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის.**

**აღნიშნული დღე წარმოადგენს არა მხოლოდ საზეიმო მოვლენას, არამედ პასუხისმგებლობის შეხსენებასაც - ბავშვთა დაცვა და მხარდაჭერა ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია საზოგადოების ყოველი წევრისთვის.**

**სსიპ "ბაკურიანის განვითარების სააგენტო" კიდევ ერთხელ უსურვებს ყველა ბავშვს უსაფრთხო, ღირსეულ და ბედნიერ მომავალს.**

**ღონისძიების ორგანიზატორები:**

**სსიპ „ბაკურიანის განვითარების სააგენტო";**

**ბაკურიანის რეკრეაციული პარკის ადმინისტრაცია;**

**ღონისძიების მხარდამჭერები:**

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია;**

**ეკატერინე ორჯონიკიძე;**

**„IDS ბორჯომი წყალი ბაკურიანი - Bakuriani Water**

## უნგრეთი მეგობრობის ხელს გვიწვდის

ჩვენი სახელმწიფოებრიობა 23 საუკუნეს ითვლის, ჩვენ ვამაყობთ ჩვენი დამოუკიდებლობით და ჩვენი ერით, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ ბუდაპეშტში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ საქართველო დამოუკიდებლობისთვის მრავალი საუკუნის განმავლობაში იბრძოდა და ეს ბრძოლა ქართველების გენეტიკურ კოდშია.

„ეს ბრძოლა გრძელდება. ახლა ბრძოლა გვიწევს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის. უნგრეთი ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერია საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის ბრძოლაში. ჩვენ მადლობელი ვართ ჩვენი მეგობრების - უნგრეთის მთავრობის მიმართ. ჩვენს ერებსა და მთავრობებს შორის ძლიერი მეგობრობა, თანამშრომლობა არსებობს და დარწმუნებული ვარ, მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება", - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას უნგრეთის ევროკავშირის საქმეთა მინისტრი დაესწრო.

იანოშ ბოკამ სიტყვით გამოსვლისას ყურადღება გაამახვილა საქართველოსა და უნგრეთის სტრატეგიულ პარტნიორობაზე და აღნიშნა, რომ უნგრეთი მხარს უჭერს საქართველოს სწრაფვას ევროკავშირისკენ.

„ნება მომეცით, გადმოგცეთ უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანისა და უნგრეთის მთავრობის მოლოცვა და საუკეთესო სურვილები საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით. გვაქვს პატივი, ვიყოთ თქვენი ხმა ევროკავშირში მაშინ, როცა თქვენი გაჩუმება სურთ. თქვენს გვერდით ვართ ყოველთვის. ჩვენი ერები კარგად აცნობიერებენ სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მნიშვნელობას. ორივემ ვიცით, რომ ეს იოლად მოსაპოვებელი არ არის და არც უფასოა.

ჩვენ ვუფრთხილდებით ჩვენს ფასეულობებს. ორივე ევროპელი ერი და ამაყი ქვეყნები ვართ და გვინდა ასეთად დავრჩეთ. თავისუფლების ორი კუნძული ვართ ძველი-ახალი იმპერიების ოკეანეში. ჩვენ ხელს ვუწვდით ერთმანეთს, ვაშენებთ ხიდებს და მომავალს ჩვენი შვილებისთვის. დღეს თქვენს წინაშე ვდგავარ ჩვენი მხრიდან ერთგულების დასადასტურებლად. დაე, საქართველოში იყოს მშვიდობა და კეთილდღეობა. მრავალჟამიერ არსებობდეს ამაყი ქართველი ერი", - განაცხადა იანოშ ბოკამ.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, უნგრეთში, საქართველოს საელჩოს ორგანიზებით გაიმართა

## კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეთა დაჯილდოება

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი**, საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ნიკოლოზ კიკნაძე**, ბაკურიანის განვითარების სააგენტოს დირექტორი **ეკატერინე ორჯონიკიძე**, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი და საკრებულოს დეპუტატი **ხათუნა ხარაზიშვილი**, "IDS ბორჯომი საქართველოს" წარმომადგენლები, სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები სასტუმრო „ბორჯომი-ლიკანში", ა(ა)იპ „ჩვენი ბორჯომისათვის" ორგანიზებით გამართულ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრნენ.

ღონისძიებაზე „ჩვენი ბორჯომისათვის" ტრენინგცენტრის მოსწავლეებმა აღნიშნული ცენტრისა და ახალგაზრდული საკრებულოს საქმიანობაზე ისაუბრეს.

ასევე გაიმართა ტრენინგცენტრთან არსებული „არტ-სახელოსნოს" მოსწავლეების ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენა. დაჯილდოვდნენ ტრენინგცენტრის მიერ გამოცხადებულ სხვადასხვა კონკურში გამარჯვებული მონაწილეები. სტუმრებს კი, მადლობის სიგელები გადაეცათ.

# „ქართული ოცნების" თავმჯდომარის, პრემიერ ირაკლი კობახიძის სიტყვა კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების კონფერენციაზე

(დასაწყისი პირველი გვერდიდან)

და ის ცოცხალია მილიონობით ადამიანის გულში მთელს ევროპაში და მის მიღმაც; ყველას გულში, ვინც დაიღალა იმის მოსმენით, რომ საკუთარი სამშობლოს სიყვარული დანაშაულია.

ჩვენ ვართ ევროპული ერი. ჩვენი ისტორია, ჩვენი კულტურა, ჩვენი იდენტობა - ყოველმხრივ ევროპულია, მაგრამ ევროპულმა ბიუროკრატიამ უნდა აღიაროს ჩვენი უფლება სუვერენიტეტზე და დემოკრატიაზე.

იყო პროევროპული, არ ნიშნავს იყო ანტიქართული. ჩვენ გვწამს ერებისგან შემდგარი ევროპის, თავისი ძლიერი იდენტობით და ჩვენ სიამაყით ვდგავართ მათ გვერდით - უნგრეთში და მის მიღმაც - ვინც ჯერ კიდევ მიიჩნევს, რომ პატრიოტიზმი არის ღირსება და არა ცოდვა.

ჩვენი ერთგულება ევროპული ინტეგრაციის მიმართ მტკიცეა, მაგრამ ჩვენ არ დავთმობთ ჩვენს ღირსებასა და სუვერენიტეტს. ჩვენთვის მიუღებელია ორმაგი სტანდარტები და არც ჩვენს იდენტობას გავცვლით პოლიტიკურ კეთილგანწყობაზე. დღევანდელ არასტაბილურ სამყაროში ღრმად შემაშფოთებელ მოვლენას: ლიბერალური ფაშიზმის აღზევებას ვხედავთ! აგრესიული და შეუწყნარებელი, უცხოური დაფინანსებით გავრცელებული იდეოლოგიისა და მოძრაობის სახით, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფოებისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების დასუსტებას, სიძულვილის წახალისებას, გენდერული და ლგბტ პროპაგანდის ხელშეწყობას და ჩვენი საზოგადოების ფუნდამენტური ღირებულებების ნგრევას.

ის თითქოს იცავს უფლებებს, მაგრამ ანადგურებს ერის უფლებას, განსაზღვროს საკუთარი განვითარება; ტოლერანტობას ამოფარებული, ცდილობს განსხვავებული აზრის ჩახშობას. ბოლო სამი წლის განმავლობაში მსოფლიო შეესწრო საშინელ ტრაგედიას უკრაინაში. დასაწყისშივე, ჩვენი ხელისუფლება აფრთხილებდა საერთაშორისო საზოგადოებას მოსალოდნელ შედეგებზე. სამწუხაროდ, ეს გაფრთხილებები იგნორირებულ იქნა. ჩვენ, საქართველოში, კარგად გვესმის ომის ფასი. შესაბამისად, ვიცით მშვიდობის ფასიც. სწორედ ამიტომ, 2012 წლიდან ყველაფერს ვაკეთებთ მშვიდობის შესანარჩუნებლად ჩვენს ქვეყანაში. უკრაინის ომის დაწყებიდან, ჩვენ გავუძელით უზარმაზარ ზენოლას - როგორც გარედან, ისე შიგნიდან - იმ ძალებისგან, ვისაც სურს, საქართველო კვლავ გადაიქცეს საბრძოლო პოლიგონად. ჩვენ სხვა გზა ავირჩიეთ! მშვიდობის გზა - ომის ნაცვლად; სტაბილურობა - ქაოსის ნაცვლად. ჩვენი ხელისუფლება ყოველთვის მშვიდობის მხარეს იდგება. მაგრამ მშვიდობა ყოველთვის მოწყვლადია, თუ მას სიმართლე არ იცავს. წლების განმავლობაში, გავლენიანმა საერთაშორისო მედიასაშუალებებმა კოორდინირებული შეტევები განახორციელეს საქართველოში, მათი სიცრუეზე აგებული ნარატივი მიზნად ისახავდა საქართველოს დასჯას იმისთვის, რომ ომში ჩართვაზე უარი ვთქვით, სუვერენიტეტი ავირჩიეთ და ეროვნული ინტერესები დავაყენეთ უპირველეს ყოვლისა. წლებია, საქართველო ებრძვის უცხოური დაფინანსებით მოქმედი არასამთავრობოებისა და მედიასაშუალებების დეზინფორმაციას, რომლებიც პროგრესს კი არ ემსახურებიან, არამედ ცდილობენ ჩვენი ღირებულებების გადაკეთებას.

როდესაც საქართველომ გაატარა ზომები, რომელიც სუვერენიტეტის დაცვასა და არასამთავრობოების გამჭვირვალობას ემსახურება, ამას მუქარითა და სანქციებით შეხვდნენ - მხოლოდ იმიტომ, რომ გავბედეთ და ვთქვით: „დავიცვათ საქართველო! დაე თავად გადაწყვიტოს საქართველომ!" ყველა ზემოაღნიშნული შემაშფოთებელი მოვლენა - მსოფლიო მშვიდობის რღვევა, სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევა, ბრძოლა ეროვნულ და რელიგიურ იდენტობასთან, გენდერული და ლგბტ პროპაგანდა, ოჯახური ღირებულებების შეზღუდვის მცდელობა, მედიის თავისუფლების გლობალური რღვევა და ცენზურა, ლიბერალური ფაშიზმი - ერთი ცენტრიდან არის კოორდინირებული.

ჩვენ, ამ ცენტრს, 2022 წლიდან გლობალური ომის პარტიას ვუწოდებთ, ხოლო შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაცია მას - Deep State-ად მოიხსენიებს. მოხარულნი ვართ, რომ პრეზიდენტმა ტრამპმა და მისმა ადმინისტრაციამ ბრძოლა Deep State-ს გამოუცხადეს. უცხოური ინტერვენციების ცნობილი მეთოდები, როგორებიცაა USAID და NED, რომლის მეშვეობითაც Deep State ცდილობდა საქართველოში ბოლო ოთხ წელიწადში ოთხი რევოლუციის მოწყობას, გაუქმებულია. ახალი ადმინისტრაციის განცხადებები და კონკრეტული ნაბიჯები ნამდვილად იმედისმომცემია. თუმცა ეს საკმარისი არ არის.

როგორც ჩანს, Deep State ჯერ კიდევ ღრმად არის ფესვგადგმული ამერიკულ და ევროპულ ბიუროკრატიაში, რაც ნათლად ჩანს საქართველოზე ზეწოლის კონკრეტულ ფაქტებში. ამის მაგალითია ევროპარლამენტის მიერ მიღებული 6 უსამართლო რეზოლუცია ქართველი ხალხის წინააღმდეგ, ასევე შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებული კანონპროექტი - ე.წ. „მეგობარი აქტი", რომელიც ასევე უსამართლოა და ქართველ ხალხზე თავდასხმას წარმოადგენს. იმედი მაქვს, რომ პრეზიდენტი ტრამპი წარმატებით შეასუსტებს Deep State-ს, რაც უეჭველად დადებითად აისახება შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესებაზე.

წარმატებას ვუსურვებთ ახალ ადმინისტრაციას ამ ძალიან მნიშვნელოვან ბრძოლაში. დასასრულს, მსურს წარმატება და ყოველივე საუკეთესო ვუსურვო მსოფლიოს ყველა ლიდერს, ვინც მტკიცედ დგას რადიკალური მემარცხენე ლიბერალიზმისა და Deep State-ის გავლენის წინააღმდეგ - ვინც იცავს ეროვნულ სუვერენიტეტს, ტრადიციულ ღირებულებებსა და თავისი ხალხის ნებას.

ღმერთმა დალოცოს უნგრეთი!

**ღმერთმა დალოცოს საქართველო!**

**და ღმერთმა დალოცოს თავისუფალი და მშვიდობიანი მსოფლიო!**

**დიდი მადლობა!**

# ნუ სარგებლობთ ქართველი ხალხის მოთმინებით!

**პარტია ნეიტრალური საქართველოს ერთ -ერთმა ლიდერმა ვაჟო შაქარაშვილმა, ევროპარლამენტის წარმომადგენელს საქართველოში პაველ ჰერჩინსკის წერილით მიმართა, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.**

- ,,პოლიტიკური ოპოზიციის აკრძალვა არ არის ევროპული გზა, ევროპული გზა არის დიალოგი, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არსებობს განსხვავებები...

ეს იგივეა, 1945-ში, პოლონელი ხალხისთვის მოგვეწოდებინა ფაშისტებთან დიალოგისკენ, გებელსის, ჰიმლერის და ოსვენციმის შემქმნელების დაუსჯელობისკენ!

ევროკავშირის ,,ელჩს" ყოფნის უტიფრობა და არაევროპულად გვითვლის, მანიაკების პოლიტიკიდან ჩამოშორებას მაშინ, როცა გერმანიაში ყველაზე დიდი პარტია ექსტრემისტულად გამოაცხადეს, საფრანგეთში ლე პენი სასამართლოს მეშვეობით პოლიტიკას ხელოვნურად ჩამოაშორეს, მოლდოვასა და უკრაინაში ოპოზიცია გააუქმეს და ცხადია ამაზე რეაგირება არავის ჰქონია, რადგან თავად არიან ამ ყველაფრის ავტორები.

დღეს, ჰერჩინსკიმ ეს განცხადება ზუსტად იმ დროს გააკეთა, როდესაც პარლამენტის საგამოძიებო კომისიაზე ნაც-რეჟიმის მორიგ მსხვერპლს, ქალბატონ ნანა ქადაგიშვილს უსმენდნენ. ამ ადამიანს ოჯახი გაუნადგურეს. დაუჭირეს, დაუავადმყოფეს და მოუკლეს მეუღლე და შვილი. არ აკმარეს, თავადაც დააკავეს, ხუთთვიანი პატიმრობის შემდეგ პირობითი მსჯავრი შეუფარდეს და ცხოვრება ჯოჯოხეთად უქციეს. გუშინ ახალგაზრდა, უდანაშაულო კაცს მოვუსმინეთ, რომელსაც დედა თვალწინ უცემეს. გამოგონილი ბრალის აღიარების მიზნით, კოხტა კოდუამ და მეგის ქარდავამ ცემით დააინვალიდეს, რის შედეგადაც ბუნებრივად შვილი ვეღარასოდეს ეყოლება. რამდენიმე დღის წინ, ქართველმა ხალხმა მოისმინა, როგორ ემუქრებოდნენ მამას საკუთარი არასრულწლოვანი ქალიშვილის გაუპატიურებით...

როინ შავაძის მეუღლისგან მოვისმინეთ, როგორ აწამეს და დახვრიტეს 2008 წლის ომიდან დაბრუნებული გმირი სამხედრო... მოვუსმინეთ ყოფილ პატიმრებს, რომლებმაც კიდევ ერთხელ გაიხსენეს, რა ხდებოდა ქართულ „აბუ გრეიბში" - წამება, ღირსების შელახვა, გვამებზე მიბმა, ფსიქოლოგიური ძალადობა, ცემით სულის ამოხდა, მუქარა ოჯახის წევრების მოკვლით და გაუპატიურებით, სხვისი წამების ყურების იძულება... და ა.შ. და ა.შ.

მოვუსმინეთ ია მეტრეველს, რომელსაც ერთადერთი შვილი,

19 წლის ასაკში მოუკლეს და შემდეგ ბანდიტად გამოაცხადეს. სულხან მოლაშვილის მამის სიტყვები ახლაც ჩამესმის - „წამებით, ნელი სიკვდილით მომიკლეს შვილი..." 14 წლის გიორგი ზერეკიძის ისტორიამ წლების შემდეგ კიდევ ერთხელ შეძრა საზოგადოება, როგორი იყო მოზარდი ბიჭის პატიმრობა, რომელსაც მისი თავისუფლებისთვის მებრძოლი მშობლებიც დაუჭირეს და მამა ციხეში მოუკლეს... კომისიის ყოველ სხდომაზე ვისმენთ რეალურ ისტორიებს, როგორ ართმევდნენ ადამიანებს ბიზნესს, კერძო საკუთრებას, ფულს, ჩინოვნიკების მეუღლეებისთვის სასურველ ძვირადღირებულ ავტომობილებს... ვისმენთ, როგორ ექცეოდნენ ჟურნალისტებს, ფოტოგრაფებს, როგორ ითვისებდნენ მედიებს...

კომისიაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა 2008 წლის ომში ნაც-რეჟიმის მიერ ჩადენილი ღალატი! დანაშაულებათა კასკადი, რამაც შეიწირა ჩვენი გმირი ჯარისკაცების, ასევე უამრავი მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე და დაგვაკარგინა ტერიტორიები...

- მისტერ პაველ, დიდი ხანია ვიცით, რომ თქვენ ნამდვილად ხართ დიალოგში, თანამშრომლობაში და ჰარმონიაში კოხტა კოდუასთან, მეგის ქარდავასთან და იმ კასტილიან კაცთან, რომელიც მაგიდაზე „სკოჩით" მიბმულ კაცს აუპატიურებდა 35 ლარის(10€) სანაცვლოდ! ვიცით, რომ წლებია რევოლუციურ სცენარებს გეგმავთ სწორედ ამ მანიაკების ხელისუფლებაში დასაბრუნებლად, რომ ჩვენი ქვეყანა დამანგრეველ ომში გახვიოთ. ამ ფონზეც კი, ქართველი ხალხი გითმენთ და თბილისის ქუჩებში მშვიდად დადიხართ! გირჩევთ, ბოროტად ნუ სარგებლობთ ქართველი ხალხის მოთმინებით!!!

# იზრუნეთ ოთხფეხა მეგობრებზე! დაუკავშირდით მარიამს!

**მარიამ აბრამიშვილი ბორჯომში ოთხფეხა მეგობრების დახმარებას გეგმავს. დეტალური ინფორმაციისათვის რამდენიმე კითხვით მივმართე, მას შემდეგ, რაც განცხადება გამოაქვეყნა ბორჯომის მოსახლეობისათვის და ერთ-ერთ ჯგუფში დაპოსტა.**

**- ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის გამოაქვეყნე განცხადება ძაღლების სტერილიზაცია-კასტრაციასთან დაკავშირებით, როგორი გამოხმაურება მოჰყვა? არიან თუ არა მსურველები?**

-როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, მათ შორის ბორჯომშიც დიდი პრობლემაა ძაღლებისა და კატების უკონტროლო გამრავლებასთან დაკავშირებით. პრობლემის გადასაჭრელად არსებობს მხოლოდ ერთი ცივილიზებული გზა და ეს გზა არის ცხოველების კასტრაცია-სტერილიზაცია.

დავუკავშირდი მობილკლინიკას, რომელიც ჩამოვა და ადგილზე გაუწევს მომსახურებას მოქალაქეებსა და მათ შინაურ ცხოველებს. ერთი ცხოველის გასტერილიზების ღირებულება 80 ლარს შეადგენს. სამწუხაროდ, არავინ გამომხმაურებია და არც დაინტერესებულა, მაგრამ დამიკავშირდა ცხოველთა მოყვარული, რომელმაც შემომთავაზა 23 ძაღლის უფასოდ სტერილიზაცია, სწორედ ამ განცხადების შემდეგ, გაგიკვირდებათ და ამ ეტაპზე რეალურად მხოლოდ ორი ადამიანი გამომეხმაურა, ვინც თავის შინაურ მეგობარს გაუკეთებს სტერილიზაციას.

**● პროექტზე მოგვიყევი, ვინ აფინანსებს ძაღლების სტერილიზაცია-კასტრაციას და რამდენ ძაღლს შეგიძლიათ გაუკეთოთ აღნიშნული პროცედურა?**

– აფინანსებს ცხოველთა მოყვარული ერთი კარგი ადამიანი, მასთან ერთად გურიაში 72 ძაღლის და 28 კატის სტერილიზაცია გავაკეთეთ. გურიაში მოლოდინს გადააჭარბა ხალხის აქტიურობამ, ძაღლები ოზურგეთში მოჰყავდათ ურეკიდან, ქობულეთიდან.

**● რა ხარჯებს უკავშირდება შინაური ცხოველის შემდეგი მკურნალობა?**

– 23 ძაღლს სრულიად უსასყიდლოდ ვუკეთებდით სტერილიზაციას და შემდგომ არანაირ მკურნალობას არ საჭიროებდა.

**● მოგვიყევი, როგორ გეგმავთ დღეს?**

-თავდაპირველად ავარჩევთ ბორჯომში ლოკაციას ან რომელიმე უბანს, შემდეგ მოსახლეობის სურვილის შემთხვევაში ჩვენთან მოიყვანენ



ოთხფეხა მეგობრებს.

**● ჩვენი გაზეთის საშუალებით ვეცდები, რომ აღნიშნული ინფორმაცია მოსახლეობამდე მივიტანო, როგორ შეიძლება დაგიკავშირდნენ მსურველები? როდისთვის იგეგმება აქცია?**

სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ დამიკავშირდნენ ნომერზე: **555 303 574 მარიამი.**

**● რატომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება მოქალაქემ, რომ შემოუერთდეს დაანონსებულ აქციას?**

– სტერილიზაციით თავიდან ავიცილებთ უკონტროლო გამრავლებას, რაც იწვევს არასასურველი ლეკვების ქუჩაში გაშვებას, რომლებიც ან შიმშილით კვდებიან ან ავტოსაგზაო შემთხვევას ეწირებიან. რაც მეტი ძაღლი იქნება სტერილიზებული და მზრუნველი პატრონი ეყოლება, მით ნაკლები მიუსაფარი ცხოველი ეყოლება ქუჩას.

**● ძაღლისა და კატის სტერილიზაცია-კასტრაციამდე როგორი უნდა იყოს შინაური ცხოველის მზაობა?**

– არ უნდა ჰქონდეს სიცხე, მძუნაობა, ლაქტაცია, კონტრაცეპტივი არ ჰქონდეს 3 თვეზე ადრე დალეული.

**● თქვენ თუ გყავთ ოთხფეხა მეგობარი სახლში? რა ჰქვია მას და რომელი ძაღლის ჯიშია? მასთან გატარებულ ერთ დღეზე მოგვიყევი?**

– ჩვენს ოჯახს 11 წლის წინ შემოუერთდა კოკი (ჯუჯა პუდელი) . იგი ჩვენი ოჯახის სრულუფლებინი წევრია. მისი სახით ყველაზე თბილი, მოსიყვარულე, ერთგული მეგობარი შევიძინეთ.

ესაუბრა **იზა იანეარაშვილი**

# 1 ივნისიდან ზაფხულის სეზონი ბორჯომში ოფიციალურად გაიხსნა

**ბორჯომში, ბევრი ადამიანისათვის ზაფხულის სამი თვე რეალურად შემოსავლის ძირითადი წყაროა. ვისაც კერძო ბიზნესი აქვს, ამ პერიოდისთვის ცდილობს მაქსიმალურად მომზადებული დახვდეს სტუმარს. კერძო სასტუმროების მფლობელები საკუთარ სივრცეს აწესრიგებენ, მათ კუთვნილებაში არსებული ტერიტორიების სისუფთავისთვის ყველაფერს აკეთებენ, რათა რაც შეიძლება მეტი დამსვენებელი მოიზიდონ.**

სამწუხაროდ, მუნიციპალიტეტის მასშტაბით განსახორციელებელი სამუშაოებიც სეზონის პარალელურად მიმდინარეობს. ცენტრალურ თუ განაპირა ქუჩებში წარმოებული სამუშაოებით გამოწვეული ხმაური და მტვერი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი ხდება. ამ შემთხვევაში თითქოს გაკეთებულის ფასს ველარც ვხვდებით, რადგანაც ,,უდროოდ'' ჩატარებული სამუშაოები თვალშისაცემი უფრო ხდება, ვიდრე იმის მოლოდინი, რომ ახლანდელ არეულობას, შემდეგ გაკეთებულით და გალამაზებულით ტკბობა მოჰყვება.

**რას ფიქრობენ ადგილობრივები და უკვე ჩამოსული დამსვენებლები ქალაქში არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, ქუჩაში გამოკითხვა ჩავატარეთ:**

**ნათია, 36 წლის**: – ბორჯომი დღითიდღე ლამაზდება, მშვენდება, რაც ნამდვილად თვალშისაცემია. განსაკუთრებით სასიხარულოა რუსთაველის ქუჩის ფერისცვალება, შვიდსართულიანი საცხოვრებლების ფასადები კაპიტალურად გარემონტდა, ფაქტიურად, თავიდან აშენდა №6 საჯარო სკოლა და საბავშვო ბაღის შენობა. სანაპირო ზოლო სკვერმა დაამშვენა. ბევრ უბანში ახლაც აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს. გაკეთდა და მოწესრიგდა გზები, ირგვება ყვავილები, ყოველდღე სუფთავდება სკვერები. ცოტა დისკომფორტია იმ მხრივ, რომ ზოგ ადგილას გადაადგილება ჭირს სამუშაოების გამო.

**გიორგი, 30 წლის**: – ყვიბისში ვცხოვრობ და უკვე საუბარიც აღარ ღირს იმ მდგომარეობის შესახებ, რაც ყვიბისში არსებული ხიდის მიმდებარედ ხდება. აღნიშნულ ტერიტორიაზე, მანქანების პარკინგია. ადგილობრივ მოსახლეობას როგორც მანქანით, ფეხითაც უჭირს გადაადგილება, უფრო მეტად საზოგადოებრივ ტრანსპორტს. კარგი იქნება, ერთხელ და სამუდამოდ რომ მოწესრიგდეს ეს პრობლემა. ბოლო წლებია, ყვიბისის მიმდებარედ არსებულ ცენტრალურ გზაზე ამოთხრილი ორმოები დისკომფორტს უქმნის საზოგადოებას. მტვერი და ბუღი ხომ ზაფხულის პერიოდში გარდაუვალია. ფანჯარას ვერ გამოაღებ, მტვრის ,,აბაზანა" გარანტირებული გაქვს.

**ვიქტორი, 28 წლის**: – მე, უკრაინიდან, მეორედ ვარ ბორჯომში. ძალიან ლამაზი ქალაქია. საოცარი ბუნება, ჰაერი, მინერალური წყალი. სამწუხაროდ, ახლა რომ ჩამოვედი, პარკში სამუშაოები მიმდინარეობს. პირველად რომ ვიყავი, ცენტრალურ

პარკამდე მინერალური წყლის წყარო იყო, სადაც ცივი ,,ბორჯომი'' მოდიოდა, ის წყალი აღარ დამხვდა, ჩვეულებრივი წყალი მოდის. გული დამწყდა, ვერ მივხვდი, რატომ აღარ მოდის. ცხოველები ძალიან მიყვარს და როცა საშუალება მაქვს, ვკვებავ კიდეც, თუმცა ქუჩაში უამრავი ძაღლია. ნაგვის ურნებთანაც ბევრი შევნიშნე. თავშესაფარი სჭირდებათ უპატრონოდ ქუჩაში მყოფ ცხოველებს.

**ვალერი, 45 წლის**: – რა გითხრათ, რით გაგახაროთ? კარგს ვერაფერს გეტყვით. მიხარია, დაიწყო სეზონი. ვისაც საკუთარი ბიზნესი აქვს, ღმერთმა ხელი მოუმართოს, თუმცა საერთო ფონის ხარჯზე, ალბათ, ჩამოსული სტუმარ-დამსვენებელი პარალელურ რეჟიმში ჩატარებულ სამუშაოებს შეამჩნევს. ჯერ სილამაზის ხიდი, რომელიც პარკთან დასაკავშირებელი ერთადერთი თუ არა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა, სამწუხაროდ, რაც თავი მახსოვს, სულ შეკეთების პროცესშია. გადაღობილია ერთი მონაკვეთი. საუბარია იმაზეც, რომ ორი წლით უნდა ჩაიკეტოს, ბურჯები უნდა დამონტაჟდეს და ტროსებიც გამოიცვალოს. ახლაც კი, როდესაც მანქანით მოძრაობ, გაძნელებულია ხიდზე გადაადგილება.

**თამილა, 48 წლის:** – პირადად ჩემთვის, ნამეტანი დისკომფორტია ის მდგომარეობა და სიტუაცია, რაც ბოლო პერიოდში ქალაქში ხდება. კარგია, ხალხი შრომობს, თუმცა სხვებმა რა დააშავეს, როდესაც ქალაქის ცენტრში, ყოფილი ადმინისტრაციული შენობის წინ, ბაგის ტიპის მანქანების სადგომი გახადა ვიღაც კერძო პირმა? ჯერ ისიც საკითხავია, ,,თიბისი'' ბანკის მიმდებარედ დასაშვებია კი, ამდენი მანქანის დგომა? აქვე ხომ პირველი საჯარო სკოლაცაა, სადაც ბავშვები სწავლობენ და ბევრი მათგანი მშობლების გარეშე გადაადგილდება. მე, პირადად, მოზრდილ ადამიანს, მიჭირს, რომ გვერდი ავუქციო ჩახერგილ მანქანებს. უფალმა ყველა დაიფაროს, რა დროს რომელი ბაგის პატრონი გამოაქროლებს თავის კუთვნილ მანქანას და თუ ყურადღებით არ ხარ, შეიძლება დაგეჯახოს კიდეც. არ უნდა იდგეს ამდენი მანქანა იმ ადგილას, სადაც მთელი დღის მანძილზე მცირეწლოვანი ბავშვების უმრავლესობა გადაადგილდება, ვინმემ ხომ უნდა იზრუნოს ქალაქის მოსახლეობის უსაფრთხოებაზე? ვიღაცის ბიზნესის ხელშეწყობას არ უნდა შეენიროს ჩვეულებრივი რიგითი, უბრალო ადამიანი. ჩვენც ხომ ამ ქალაქის სრულუფლებიანი მოქალაქეები ვართ? დროა, ქალაქში მოეწყოს პარკინგი, ყველა მანქანის მძღოლმა ნება იბოძოს და გადაიხადოს შესაბამისი თანხა მანქანის დაყენებისთვის.

**ლიზა, 50 წლის:** – საოჯახო სასტუმრო გვაქვს და წლიდან წლამდე ვანესრიგებთ, ახალს ვამატებთ, რომ ჩამოსული დამსვენებელი თავს კომფორტულად გრძნობდეს. ეზოს, ქუჩას ყოველდღიურად ვალაგებთ, ვასუფთავებთ, თუმცა რამდენიმე ადამიანმა ორი დღის შემდეგ ჯავშანი გააუქმა. სხვანაირ სისუფთავეს მოველოდით ქალაქშიო. პარკინგის ადგილიც არ არისო, -ამაზეც შენიშვნა მივიღეთ. კერძო ბიზნესსაც სჭირდება ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე. მარტო მე ვერაფერს გავხდები, თუკი სეზონის პერიოდში ისევ მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა დახვდება დასასვენებლად ჩამოსულ სტუმარს. ვიცით, ბორჯომის კლიმატიც, წვიმებია უმეტესწილად იმ დროს, როცა შეიძლება, რომ რაღაც გაკეთდეს. თუმცა, სამწუხაროა, რომ კეთდება მხოლოდ სეზონის დაწყების პარალელურ რეჟიმში.

**ნადია, 65 წლის:** – ბორჯომი საინტერესო, ძველი და ახალი სტილის ქალაქია. წლების წინ ვარ ნამყოფი და ახლა რომ ჩამოვედი, სულ სხვანაირი მეჩვენა. განახლებული კავალერიის შენობა მომეწონა. დათვალიერება მინდოდა, მაგრამ როგორც გავარკვიე, ჯერ უბრალოდ რეაბილიტაცია ჩაუტარდა, შიდა სივრცე არ მუშაობს. საინტერესოა, რა იქნება სამომავლოდ. პარკშიც სამუშაოებია. როგორც ჩანს, ისევ განახლება მიდის ქალაქის. მაღაზიებიც მომეწონა ქალაქის ცენტრში. სკვერში მოსიარულე ცხენებიც შევნიშნე, სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა. თუმცა, რაღაცნაირად ქალაქს უხდება ბუნებაში ცხოველები. საქართველოს სხვა ქალაქებშიც ვარ ნამყოფი. ბათუმშიც ვიყავი და იქაც მშენებლობების ბუმია. მე პირადად, ჰაერისა და მინერალური წყლის გამო ჩამოვედი. რა თქმა უნდა, ბუნებაც ძალიან მომწონს და დისკომფორტს მართლა არ მიქმნის სამუშაოები.

**ილია, 60 წლის:** – სულ წვიმები და უამინდობა იყო, მაგრამ გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები შედარებით ადრე უნდა ჩატარებულიყო, თუმცა რისი გაკეთებაც დაიწყო, ნამდვილად გულიანად კეთდება. ახალი უბნის დასახლებაში მტკვრის სანაპიროზე არსებულ კედელს სრული რეაბილიტაცია უკეთდება. თავსხმა წვიმაშიც კი მუშაობდნენ, რაც ვნახე, იმას ვამბობ. წლებია არსებული ტერიტორიაზე ამხელა სამუშაოები არ ჩატარებულა. მოსახლეობის უკმაყოფილება, რომ ქალაქში მიანცდამაინც სეზონის დროს მიმდინარეობს სამუშაოები, ნამდვილად უსაფუძვლოა. არის გარკვეული სახის სამუშაოები, რომელიც ხანგრძლივი დროით ჩატარებას მოითხოვს და შესამაბისად, თვეები სჭირდება მის სრულყოფილად შესრულებას. მოსახლეობას სათითაოდ ვერ გამოკითხავენ, რა მოსწონთ და რა არა. გადავხედოთ წინა წლების მდგომარეობას. ფაქტიურად, უპატრონოდ მიტოვებული ადგილები დღეს სიცოცხლით სავსეა. კორპუსების წინ არსებული ტერიტორიები მღრღნელებისა და ქვეწარმავლებისაგან გაიწმინდა. დღეს სკვერებად და სათამაშო მოედნებად არის გადაქცეული, სადაც ჩვენი შვილები და შვილიშვილები თამაშობენ. კარგს დანახვა, შემჩნევა და თქმაც შვენის. წარმატებები ყველას, ვინც კი ქვეყნისა და ქალაქის სასიკეთო საქმეებს აკეთებს.

გამოიკითხა **ნატალია მესხელმა**

### დიდი სამამულო ომის ლაბირინთებში

# გენერლის საინტერესო მოგონება

**გენერალი კაპიტონ ნაჭყებია**

9 მაისს 80 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირმა გმირულად გაიმარჯვა. კაცობრიობის ისტორიაში ამ უპრეცედენტო ტრიუმფის ერთ-ერთი უმთავრესი განმაპირობებელი მიზეზი იყო ის საიდუმლო სამსახურები, რომელთა მოდერნიზაცია და, ფაქტობრივად, თავიდან შექმნა, ლავრენტი ბერიამ იტვირთა. მის ღვაწლსა და დამსახურებას სტალინი კარგად ხედავდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ უკვე 1945 წლის 9 ივლისს, უმაღლესმა მთავარსარდალმა საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება სწორედ ლავრენტი ბერიას მიანიჭა.

საბჭოთა ,,ენკავედიეს" გენერალი კაპიტონ ნაჭყებია, რომელმაც თავისი ფიზიკური მონაცემებით 1943 წლის თეირანის კონფერენციაზე უინსტონ ჩერჩილი აღაფრთოვანა, სწორედ ლავრენტი ბერიას კადრი იყო. საქართველოს მეხუთე მონვევის პარლამენტის წევრი, ცნობილი კოლორიტი ოთარ ჭითანავა მასთან შეხვედრას იხსენებს და მის მონათხრობზე დაყრდნობით, არაერთ საინტერესო განცხადებას აკეთებს:

,,ენკავედეს" გენერალ-მაიორი ნაჭყებია 1943 წლის თეირანის კონფერენციაზე, გენერალ შალვა წერეთელთან ერთად, სტალინის დაცვას ხელმძღვანელობდა. სწორედ მისი დაარსებულია თბილისის იპოდრომი. იგი ერთხანს აფხაზეთში შინსახკომის თავმჯდომარედ მუშაობდა, ხოლო მოგვიანებით, დაახლოებით ათი წლის განმავლობაში, საქართველოს მილიციის მთავარ სამმართველოს ხელმძღვანელობდა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, გენერალი კაპიტონ ნაჭყებია მაშინ გავიცანი... სიმართლე გითხრათ, იგი სანატორიუმში უპატრონოდ იყო და 69 წლის კაცს ყურადღება აკლდა, რადგან ოჯახის გარეშე გახლდათ ჩამოსული. მოკლედ, ჩემი მანქანით გავხდი მისი პატრონი და მთელი აფხაზეთი მოვატარე, სად არ ვიყავით... მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს პაპანაქება იყო, კაპიტონ ნაჭყებია გენერლის ფორმით დადიოდა...

**● ბატონო ოთარ, ცნობილია, რომ გენერალ კაპიტონ ნაჭყებიას 30-იან წლებში ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული და ბევრი ქართველი ინტელიგენტი ჰყავს გადარჩენილი!**

– კი, ეგ ნაღდია, კაპიტონ ნაჭყებია მართლაც ძალიან ღირსეული და მაგარი კაცი იყო და ბევრი ჰყავს იმ სისხლიან წლებში გადარჩენილი. ამასთან, იგი უნიკალური ინფორმაციის მატარებელიც გახლდათ. ის დაიბადა მარტვილის რაიონის სოფელ კურზუში. ნამდვილი კოლხი იყო – მაღალი, ულამაზესი, განთქმული ცხენოსანი, კარგი მანერების პატრონი. სხვათაშორის, ხაზგასმით მითხრა — თეირანის კონფერენციაზე მე და გენერალი შალვა წერეთელი, სტალინის პირად დაცვასა და უსაფრთხოებას ვხელმძღვანელობდითო, ბელადთან დაუკითხავად შეგვეძლო ნებისმიერ დროს შესვლა და ნებისმიერი რამის შეტანაო! იმავეს ამბობდა მერაბ კვიტაშვილის შესახებაც, რომელიც ბრიტანეთს წარმოადგენდა და ჩერჩილის უსაფრთხოებას იცავდა. მოკლედ, როგორც ბატონმა კაპიტონმა სიცილით მითხრა, თეირანში მსოფლიოს ბედი ქართველების ხელში იყო! სწორედ ამ საუბრების დროს მიმაქცევინა ერთ სურათზე ყურადღება, რომელიც თეირანის კონფერენციაზეა გაკეთებული... სურათზე გამოსახულნი არიან სტალინი და ბერია. სტალინს თეთრი, საპარადო მუნდირი აცვია, ხოლო ბერია კოსტიუმშია გამოწყობილი და პენსნე არ უკეთია, რაც ძალიან საეჭვო დეტალია. გენერალმა კაპიტონ ნაჭყებიამ გამანდო, რომ თეირანის კონფერენციაზე სტალინისა და ბერიას ოთხ-ოთხი ორეული ჰყავდა ჩაყვანილი, რომლებსაც პირადად ხელმძღვანელობდა! მოკლედ, სტალინისა და ბერიას ეს ფოტო გაყალბებულია და სინამდვილეში მასზე სტალინისა და ბერიას ორეულებია გამოსახული!

**● მაინც ვინ იყვნენ ეს ორეულები?**

– როგორც მითხრა, - სტალინის ოთხი ორეულიდან სამი რუსი და ერთი სომეხი იყო.

ამ ფოტოსურათზე, რომლითაც მთელი ინტერნეტია გადაჭრელებული სტალინის სომეხი ორეული და ბერიას ორეული არიან აღბეჭდილნი.

კაპიტონ წაჭყებია იხსენებდა, რომ თეირანის კონფერენციის დასკვნით ბანკეტზე პურმარილი, ღვინო და ლაღიძის წყლებიც კი საქართველოდან ჩაუტანიათ, ხოლო ჭურჭელი რუსეთის მუზეუმებიდან და, კონკრეტულად, ერმიტაჟიდან ჩამოიტანეს. ეს საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია.

**● მაინც რით ასაბუთებდა გენერალი კაპიტონ ნაჭყებია იმას, რომ ფოტოზე ნამდვილი სტალინი და ბერია არ იყვნენ გამოსახული?**

– გენერალი ნაჭყებია მიმტკიცებდა, რომ თეირანის კონფერენციის მსვლელობისას ლავრენტი ბერია არათუ კამერების წინ არ ჩნდებოდა, არამედ, საერთოდ ხალხს ერიდებოდა და, ფაქტობრივად, დამალული იყო. გარდა ამისა, ნაჭყებიამ იმაზეც მიმაქცევინა ყურადღება, რომ ფოტოსურათზე აღბეჭდილი ე.წ. ბერია, ანუ სინამდვილეში მისი ორეული, საკმაოდ გასუქებულია. არადა, ამ დროს ბერია იყო საშინლად გამხდარი, რადგან, კარგად მოგეხსენებათ, ბრძოლა დასრულებული იყო, რომელმაც ჰიტლერი ხერხემალში გადაამტვრია. ასეთ პირობებში ლავრენტი ბერია, რომელსაც დღე და ღამე გასწორებული ჰქონდა, გამხდარი იყო და არა ისე გასუქებული, როგორც მისი ორეული ფოტოსურათზე გამოიყურება.



**● კიდევ რას გაიხსენებდით გენერალ კაპიტონ ნაჭყებიას ნაამბობიდან?**

ნაჭყებიამ ისიც მითხრა, რომ ვიდრე სტალინი ირანის შაჰის რეზიდენციაში მივიდოდა, მანამდე იქ ბელადის ორეულები გაუგზავნიათ კორტეჟით. როცა უშიშროება დარწმუნდა, რომ ხიფათი არსაიდან იყო, ნამდვილი სტალინი რეზიდენციასთან მხოლოდ ამის შემდეგ გამოჩნდა. გენერალმა ნაჭყებიამ გაიხსენა, რომ თეირანში, კონფერენციის მსვლელობის დროს, ყოველი შემთხვევისთვის, იმყოფებოდა შორეული ავიაციის მარშლის, ალესანდრე გოლოვანოვის ესკადრილია.

**● საინტერესოა, რას ამბობდა გენერალი კაპიტონ ნაჭყებია ბერიას სიკვდილზე?**

– გენერალმა ასეთი რამ მითხრა: სტალინი რომ გარდაიცვალა, მალენკოვის დავალებით, საქართველოში და კერძოდ, მერხეულში, ბერიას სოფელში, მოსკოვიდან უშიშროების აგენტები ჩამოვიდნენ და ლავრენტის თითოეულ ნაბიჯს ბავშვობიდან სწავლობდნენ. მაშინვე მოვახსენე ამის შესახებ ლავრენტის, რომელმაც მითხრა – ყველაფერი ვიცი, ახლა გერმანიაში მივდივარ და იქ სიტუაციას ჩავაწყნარებ თუ არა, მერე მაგათ ყველას მოვუვლიო! ვერ მოუარა, რადგან, გენერალ კაპიტონ ნაჭყებიას ინფორმაციით, ლავრენტი ბერია კრემლში, ვიწრო წრეში გამართული თათბირის დროს დახვრიტეს და მერე მისი გვამი სახლში შეიტანეს! ბერიას ვაჟს სერგო ბერიას ბოლომდე სჯეროდა, რომ მამამისი სახლში მოკლეს.

**ოთარ ჭითანავას**
ესაუბრა **დიტო ჩუბინიძე**
**(გაზ. „ასავალ-დასავალი" 2025წ. 7 აპრილი)**

# ვულოცავთ!
## მეუფეს, დღეგრძელობას და მხნეობას გისურვებთ

**დიდი სიყვარულითა და პატივისცემით დაბადების დღეს ვულოცავთ ჭიათურისა და საჩხერის, ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტ დანიელს (დათუაშვილი).**

**თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, ჯანმრთელობას, დღეგრძელობასა და მხნეობას გისურვებთ!**

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები**



**ვულოცავთ, დაბადებიდან 75 და პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავს ფილოლოგს, მხატვარსა და პოეტს, მწერალთა და მხატვართა კავშირის წევრს, ბორჯომსა და ბორჯომელებზე უსაზღვროდ შეყვარებულ პიროვნებას, ქალბატონ**

**ვარა ხუციშვილს**

**ვუსურვებთ ჯანმრთელობას და შემოქმედებით წარმატებებს.**

**ბორჯომის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის გამგეობა**

# 1 ივნისი წმინდა ნინოს დღეა!

1 ივნისი წმინდა ნინოს საქართველოში მემოსვლის დღეა...

საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, როდესაც ღვთისმშობლის ლოცვა-კურთხევითა და ვაზის ჯვრის ძალით წმინდა ნინო კაბადოკიელმა ქართლში იქადაგა.

ნინოობა — ეს არის ჩვენი დიდი საეკლესიო და საერო დღესასწაული. წმინდა ნინო ბრძანდება გამორჩეული წმინდანთა შორის. წმინდა ნინომ შეცვალა ქართველი ადამიანი და სრულიად საქართველო. იგი სავსე იყო ღვთის მადლით, რომელიც არის უძლურთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი. სწორედ ამ მადლმა ჰყო ეს სასწაული - მოაქცია დედოფალი ნანა, მეფე მირიანი და მთელი ქართველი ერი.

ნინობაა - ეს არის დღე ქრისტეს რწმენის დაბრუნებისა.

ეს არის დღე ღვთისმშობლის კურთხევის აღსრულებისა.

სრულიად საქართველოს შეეწიოს - ღვთის სიტყვის ერთგული, ანდრიას ქადაგების გამგრძელებელი, ქართველთა განმანათლებელი, სულიწმინდის ქნარი ნინო მოციქულთა სწორი! ,,დედაო წმინდაო ნინო, ევედრე შვილთა შენთათვის ქრისტესა ღმერთსა...!"

# ბაღვერის საჯარო სკოლის სიხარული

პატივი, აღიარება და მადლიერება — ჩვენი ერთიანი შრომის შედეგია!

ამაყად და დიდი სიამოვნებით ვაზიარებთ სიხარულს - ჩვენი სკოლა დაჯილდოვდა „წლის აქტიური სკოლის" ტიტულით პროექტის ფარგლებში „ჩემი ბორჯომისთვის", რაც ჩვენთვის უდიდესი აღიარებაა!

პროექტში აქტიურად ჩავერთეთ არა მხოლოდ მონაწილეობით, არამედ მრავალი მიმართულებით გამოვიჩინეთ თავი. ჩვენი, პედაგოგების თავდადებული შრომისა და მოსწავლეების კრეატიულობის შედეგად სკოლამ წარადგინა არაერთი საინტერესო თემა სხვადასხვა ნომინაციაში, რაც საპრიზო ადგილებითაც დაგვიფასდა!

განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ ქეთევან ნოზაძეს, რომლის პროფესიონალიზმმა და გამორჩეულმა ლიდერობამ განსაკუთრებული შთაგონება მოგვცა!

მადლობა თითოეულ ჩვენს მასწავლებელს, ვინც დრო და ენერგია არ დაიშურა მოსწავლეებთან მოსამზადებლად, ხელი შეუწყო მათ განვითარებასა და წარმატებას, და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ერთგულება და შრომა შედეგს ყოველთვის მოიტანს!

გავაგრძელოთ ერთად სვლა, განვითარებასა და იმ ღირსებების დამკვიდრებისკენ, რაც ჩვენს სკოლას ასე გამორჩეულ სახელს უტოვებს.

# მადლობა

დიდი ხანია გულზე პრობლემები მქონდა. ადრე დამეხმარა ადგილობრივი ექიმი **ფატიმა შავლოხოვა,** ძალიან მადლიერი ვარ მისი. შემდეგ გავიკეთე შუნტირება და პრობლემები მომემატა. ცოტა ხნის წინ გავხდი განსაკუთრებულად ცუდად, წნევა ამივარდა 240-მდე. სასწრაფო დახმარების ბრიგადა გამოვიძახეთ, რომელიც სწრაფად მოვიდა და ჯგუფიც ძალიან პროფესიონალურად და კეთილსინდისიერად მომემსახურა. ყველა ადგილზე ჩასატარებელი პროცედურა ოპერატიულად ჩამიტარეს და საავადმყოფოში გადამიყვანეს. იქაური პერსონალიც, ექიმ **ანიკა ბელოუსოვას** ხელმძღვანელობით, დიდი პასუხისმგებლობით და ყურადღებით მომექცა. ძალიან მადლიერი ვარ, ყველა ამ ადამიანს მინდა გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ასეთი გულისხმიერებისათვის, სასწრაფო დახმარების ბრიგადის ექთნებს - **თეა შერეზედაშვილს, მაია ტაბატაძეს** და მძღოლს **ზაზა ნანეტაშვილს**, ბაკურიანის საავადმყოფოს პერსონალს, ექიმებს – **ანიკა ბელოუსოვას,ნაზი ჩადუნელს და ლელა ცალქალამანიძეს.** ასევე რეგისტრატორ **თამუნა გვარამაძეს.**

იდღეგრძელეთ და იხარეთ!

**პატივისცემით**
**ალექსანდრე ბუქიშვილი**

# მოზარდებს ერთჯერადი დახმარება გაეწიათ!

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 18 წლამდე დედ-მამით ობოლ და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ბავშვებს, ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწიათ.**

**აღნიშნული მატერიალური დახმარების ფარგლებში, ჯამში 5 100 ლარი გამოიყო.**

**აღსანიშნავია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში 25-მდე სოციალური პროგრამა მოქმედებს, რომელთა მთავარი მიზანი ადგილობრივი მოსახლეობის მატერიალური და სოციალური მდგომარეობის ხელშეწყობა და გაუმჯობესებაა.**

# ბიბლიოთეკა მუშაობას აააქტიურებს

იმ დღეს მეტად სასიამოვნო ამინდი შეგვიხვდა. ისტორიული სოფლისაკენ მიმავალმა გზამ, თვალწარმტაცმა ბუნებამ, ნაძვნარის საამო სურნელმა, ტაძარმა, ახლადგარემონტებულმა ბიბლიოთეკის ხილვამ და მოსახლეობის უსაზღვრო სითბომ ჩვენზე საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა.

მზეთამზის ბიბლიოთეკაში ჩვენი მასპინძელი, ბიბლიოთეკარი **ლია გელაშვილი** გახლდათ, რომელმაც გაზაფხულის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩაატარა. ღონისძიებაზე **თინათინ მუხურაძის** მოსწავლეებმა: ელენე, თეკლა გელაშვილებმა, მარიამ, ლია გოგოლაძეებმა და ბარბარე ბარბაქაძემ სააღდგომო საგალობელი შეასრულეს. უმღერეს მზეთამზის თვალწარმტაც ბუნებას. თინათინ ტყემალაძემ და მარიამ ბარბაქაძემ ადგილობრივი პოეტების ლექსები წაიკითხეს. გიტარაზე შესანიშნავი ჰანგებით დაგვატკბო საბა ბარბაქაძემ.

რამდენიმე დღის შემდეგ კი წაღვერიდან მივიღეთ მოწვევა. (ბიბლიოთეკარები **ლეილა ლურსმანაშვილი, ცირა გრიგალაშვილი, მარი ელისაშვილი).**

სკოლაში ღონისძიება ჩატარდა, სადაც პატარებმა იაკობის ,,დედა ენა'' წარმოადგინეს. მათ ისაუბრეს იაკობის ღვაწლზე. დედაენა ხომ მოზარდების პირველი წიგნია.

შემოგვთავაზეს საცეკვაო ნომრები. ეს ყოველივე საოცრად ლამაზი სანახავი იყო. ღონისძიების ბოლოს უდიდესი მადლობა გადავუხადეთ პედაგოგს, სკოლის დირექტორს, მშობლებსა და თითოეულ მონაწილეს.

ბიბლიოთეკისა და კულტურის სახლის ხშირი სტუმრები ვართ, თუმცა პირველად გახლდით სკოლაში. იქ არსებულმა მოწესრიგებულობამ, სითბომ და გულთბილმა მასპინძლობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. საოცარი სიხარულითა და სიამაყით აღსავსენი დავბრუნდით უკან.

**ნანული სალაღაია,**
**ბიბლიოთეკების ღონისძიებების კოორდინატორი.**

# გაეცნენ ბორჯომის სასპორტო სკოლისა და ბიბლიოთეკის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებს

**ბორჯომის სასპორტო სკოლისა და ბიბლიოთეკის შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი ოთარ არბოლიშვილი, მერის მოადგილე გიორგი ჭაბატაძე** და თვითმმართველობის წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ.

პროექტი ითვალისწინებს რუსთაველის ქუჩის N107-ში მდებარე შენობის სრულ რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციას. მოეწყობა შესაბამისი დარბაზები შიდა სავარჯიშო სივრცით, ასევე - სამკითხველო დარბაზი, მედიათეკის სივრცე, საკონფერენციო დარბაზი და საოფისე ოთახები.

# სტადიონის სარეკონსტრუქციო სამუშაოები ცალხმრივად შეწყდა

**ბორჯომის ჯემალ ზეინკლიშვილის სახელობის ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები შეჩერდა. სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესში ხარისხის შემოწმების მიზნით, ბორჯომის მუნიციპალიტეტმა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ეროვნული ბიუროს ექსპერტიზას მიმართა.**

**ექსპერტიზით დადგინდა, რომ 14 ნიმუშიდან მხოლოდ ერთმა ნიმუშმა დააკმაყოფილა საპროექტო სიმტკიცე B25 კლასი, რაც გულისხმობს, რომ შესრულებული სამუშაოები განხორციელდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შეუსაბამოდ, არაჯეროვნად და დაირღვა სატენდერო პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნები.**



**აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით სამუშაოების შემსრულებელ კომპანიასთან ხელშეკრულება შეწყდა ცალმხრივად.**

**გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59**

**რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.**

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.

იბეჭდება: თბილისი, თევდორე მღვდლის 57.

saari.ltd@gmail.com borjomipress9@gmail.com

კორექტორი: ნანა კევლიშვილი

რედაქტორი: ვალერიან ლომიძე